- **თქვენი პირადი მონაცემები** (მაგალითად, თქვენი სახელი, გვარი, სურათი, ენა, საკონტაქტო მონაცემები, ქვეყანა, საიდანაც ამყარებთ ჩვენთან ურთიერთობას და სხვ.);
- **ეკონომიკური და ტრანზაქციის ინფორმაცია** (მაგალითად, თქვენი გადახდის ან ბარათის მონაცემები, თქვენ მიერ განხორციელებული შესყიდვების ინფორმაცია, დაბრუნებების შესახებ ინფორმაცია და სხვ.);
- **კავშირი, გეოლოკაცია და/ან დათვალიერებული მონაცემები** (მაგალითად, მდებარეობის მონაცემები, მოწყობილობის საიდენტიფიკაციო ნომერი ან სარეკლამო ID და ა.შ.);
- **კომერციული ინფორმაცია** (მაგალითად, გამოიწერეთ თუ არა ჩვენი საინფორმაციო ბუკლეტები);
- **თქვენს გემოვნებასა და პრეფერენციებზე** ინფორმაცია.

გახსოვდეთ, რომ როდესაც ჩვენ გთხოვთ, რომ შეავსოთ შესაბამისი ველი თქვენი პერსონალური მონაცემით იმისათვის, რომ მოიპოვოთ წვდომა პლატფორმის გარკვეულ ფუნქციებზე ან სერვისებზე - ზოგიერთ ველს აღვნიშნავთ, როგორც *სავალდებულოს*, რადგან ასეთი ინფორმაცია აუცილებელია იმისთვის, რომ შევძლოთ მოგაწოდოთ შესაბამისი სერვისი ან მოგცეთ წვდომა გარკვეულ ფუნქციებზე. გაითვალისწინეთ, რომ თუ გადაწყვეტთ, რომ ასეთი მონაცემები არ გახადოთ ჩვენთვის ხელმისაწვდომი, შეიძლება ვერ დაასრულოთ თქვენი მომხმარებლის რეგისტრაცია ან ვერ ისარგებლოთ ამ მომსახურებებით ან ფუნქციებით.

კონკრეტულ შემთხვევებში, შესაძლოა, ჩვენი პლატფორმის სერვისებისა და ფუნქციების გამოყენების გზით, მესამე პირმა მოგვაწოდოს თქვენი მონაცემები, მაგალითად, თქვენთვის სასაჩუქრე ბარათის გამოგზავნით ან გზავნილის დანიშნულების ადგილად თქვენი მისამართის მითითების გზით. ასეთ შემთხვევებში, ჩვენ თქვენს მონაცემებს ვიყენებთ მხოლოდ იმ მიზნებისთვის, რომელიც საჭიროა ასეთი სერვისის ან ფუნქციისათვის, როგორც აღნიშნულია წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში.

სხვა შემთხვევებში, ჩვენ შესაძლოა პასიურად შევაგროვოთ ინფორმაცია, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ თვალყურის დევნების საშუალებები, როგორიცაა ბრაუზერის ქუქი-ჩანაწერები და სხვა მსგავსი ტექნოლოგია ჩვენს პლატფორმაზე და კომუნიკაციებში, რომლებსაც ჩვენ გამოგიგზავნით.

იმის მიხედვით, თუ რა სახის კავშირს ამყარებთ ჩვენს პლატფორმასთან (ანუ, თქვენთვის სასურველი სერვისების, პროდუქტების ან ფუნქციების გამოყენებით), ჩვენ დავამუშავებთ თქვენს მონაცემებს შემდეგი მიზნებისთვის:

მიზანი	დამატებითი ინფორმაცია
1. თქვენი, როგორც მომხმარებლის რეგისტრაცია პლატფორმაზე	თუ თქვენ გადაწყვეტთ, რომ გახდეთ პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებელი, ITX MERKEN საჭიროებს თქვენი მონაცემების დამუშავებას, რათა შეძლოს თქვენი იდენტიფიცირება პლატფორმის მომხმარებლად და როგორც რეგისტრირებულ

მიზანი	დამატებითი ინფორმაცია
	მომხმარებელს, მოგცეთ წვდომა მის არაერთ ფუნქციაზე, პროდუქტებსა თუ სერვისებზე. თქვენ შეგიძლიათ გააუქმოთ თქვენი რეგისტრირებული მომხმარებლის ანგარიში მომხმარებელთა მხარდაჭერასთან დაკავშირების მეშვეობით. ასევე გატყობინებთ, რომ თქვენს აქტივობებთან დაკავშირებით შეგროვებული მონაცემები, რომლებიც შეგროვდა პლატფორმის სხვადასხვა არხებით და მოიცავს თქვენს შენაძენებს, დაკავშირებული იქნება თქვენს ანგარიშთან, რათა ყველა ინფორმაციაზე ერთად მოხდეს წვდომა.
2. განვითარება, ეფექტიანობა და ნასყიდობის ან სერვისის ხელშეკრულების შესრულება, რომელიც თქვენ ჩვენთან პლატფორმაზე წვდომის შედეგად გააფორმეთ.	ამ მიზნიდან გამომდინარე, უმთავრესად თქვენს მონაცემებს დავამუშავებთ იმისათვის, რომ: ▪ დაგიკავშირდეთ ახალი ინფორმაციისა ან ინფორმაციული განმარტების მოწოდებისთვის, რომელიც კავშირში იქნება სახელშეკრულებო ფუნქციებთან, პროდუქტებთან ან სერვისებთან, მათ შორის, ხარისხის კვლევის გამოგზავნის მიზნით და ასევე, რომ შევძლოთ დავადგინოთ, რამდენად კმაყოფილია მომხმარებელი ჩვენ მიერ მიწოდებული სერვისით. ▪ დავამუშავოთ თქვენ მიერ განხორციელებული გადახდები იმ პროდუქტების სანაცვლოდ, რომლის შეძენაც გსურთ, მიუხედავად იმისა, გადახდის რომელ ხერხს იყენებთ. მაგალითად: ▪ ვებ-გვერდის ან აპლიკაციის მეშვეობით პროდუქტების შეძენისას, თუ გადაწყვეტთ, რომ გამოიყენოთ გადახდის მონაცემების და თქვენი მიწოდების მისამართის შენახვის ფუნქცია სამომავლო შენაძენებისთვის (თუ ასეთი ფუნქცია ხელმისაწვდომია), ჩვენ, შესაბამისი ფუნქციის აქტივაციის და განვითარების მიზნით, დაგვჭირდება შესაბამისი მონაცემების დამუშავება. თანხმობა ამ ფუნქციის გააქტიურებაზე საშუალებას გაძლევთ თქვენი ავტომატურად დასრულებული გადახდის მონაცემები გამოჩნდეს შემდგომ შესყიდვებში ისე, რომ მათი წარმოდგენა აღარ დაგჭირდეთ თითოეულ ახალ პროცესში და ეს მონაცემები ჩაითვლება დასაშვებად და ეფექტურად შემდგომი შესყიდვებისთვის. თქვენ გაქვთ

მიზანი	დამატებითი ინფორმაცია
	საშუალება, რომ ვებ-გვერდზე თქვენი რეგისტრირებული მომხმარებლის ანგარიშის გამოყენებით, კერძოდ, გადახდის ინფორმაციის განყოფილების მეშვეობით, ან „ჩემი ანგარიშის“ განყოფილების გამოყენებით, ნებისმიერ დროს, შეცვალოთ ან წაშალოთ თქვენი გადახდის მონაცემები. ▪ გაააქტიურეთ ის მექანიზმები, რომლებიც აუცილებელია პლატფორმის არავტორიზებული გამოყენების თავიდან ასაცილებლად და დასადგენად (მაგალითად, შეძენისა და დაბრუნების პროცესში), ასევე პოტენციური თაღლითობის გამოსავლენად, რომელიც ხორციელდება თქვენ და/ან ჩვენ წინააღმდეგ შესყიდვის პროცესში. უფრო კონკრეტულად, თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ ტრანზაქცია შესაძლოა იყოს თაღლითური ან ჩვენ აღმოვაჩინოთ არაბუნებრივ ქცევას, რომელიც მიაწინებს, რომ თაღლითური ქმედებით ხდება ჩვენს ფუნქციებზე, პროდუქტებზე ან სერვისებზე წვდომის მოპოვება, მონაცემთა დამუშავების შედეგად შესაძლოა მოხდეს ტრანზაქციის დაბლოკვა ან მომხმარებლის ანგარიშის წაშლა. ▪ მას შემდეგ, რაც განახორციელებთ გადახდას, მოხდეს პოტენციური გაცვლის/დაბრუნების ოპერაციის მენეჯმენტი და ასევე, პროდუქტების დაჯავშნის ფუნქციებისა და ვებ-გვერდის მასალების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ მოთხოვნების მენეჯმენტი, იმისდა მიხედვით, ამა თუ იმ დროს, ხელმისაწვდომია თუ არა ასეთი ფუნქციები. ▪ ინვოისის შედგენის მიზნით და პლატფორმის საშუალებით თქვენ მიერ შეძენილ ბილეთებსა და ინვოისებზე წვდომისთვის. ▪ იმის უზრუნველსაყოფად, რომ თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა ხელმისაწვდომი ფუნქციები ან სერვისები, როგორცაა სასაჩუქრე ბარათის ან სასაჩუქრე ვაუჩერის შეძენა, მიღება, მართვა და გამოყენება, და რათა გქონდეთ Wi-Fi-ზე წვდომა და მისი გამოყენების საშუალება, რომელსაც ჩვენ

მიზანი	დამატებითი ინფორმაცია
	ხელმისაწვდომს ვხდით ჩვენი მომხმარებლებისთვის ფიზიკურად არსებულ მაღაზიებში. იმისთვის, რომ შეგვეძლოს შემოგთავაზოთ აპლიკაციის სპეციფიური სერვისები (მაგალითად, ნივთების მაძიებელი, გასასინჯი ოთახის დაჯავშნა და ა.შ.), რომლებიც ხელმისაწვდომია ფიზიკურად არსებულ მაღაზიებში, ჩვენ შესაძლოა დავამუშავოთ თქვენი ადგილმდებარეობის და საკონტაქტო მონაცემები.
3. მომხმარებელთა მხარდაჭერის სერვისის მეშვეობით, თქვენ მიერ წარმოდგენილი მოთხოვნებისა და განაცხადების მართვა.	ჩვენ ვამუშავებთ იმ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც მკაცრად აუცილებელია თქვენ მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და განაცხადების მართვის ან გადაჭრისთვის. თუ თქვენ ტელეფონის მეშვეობით დაგვიკავშირდებით, ზარი შესაძლოა ჩაწერილ იქნეს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და იმისთვის, რომ ჩვენ შევძლოთ თქვენს მოთხოვნაზე შესაბამისი რეაგირება. თუ ეს ხელმისაწვდომია და თქვენ აირჩევთ WhatsApp-ს, როგორც მომხმარებელთა მხარდაჭერასთან კომუნიკაციის არხს, ჩვენ გავუზიარებთ თქვენს ტელეფონის ნომერს WhatsApp Inc.-ს (კომპანია მდებარეობს აშშ-ში) იმის დასადასტურებლად, რომ ამ სერვისის მომხმარებელი ხართ. ჩვენ გირჩევთ გადახედოთ თქვენი კონფიდენციალურობის პარამეტრებს და წაიკითხოთ WhatsApp-ის კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რომ მიიღოთ უფრო დეტალური ინფორმაცია WhatsApp-ის მიერ, მისი სერვისების მომხმარებლების პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ. თუ ეს ხელმისაწვდომია და თქვენ აირჩევთ სოციალური ქსელის ან სხვა მოთანამშრომლე სუბიექტის ჩათვის სერვისს მომხმარებელთა მხარდაჭერასთან კომუნიკაციისთვის, თქვენი გარკვეული პერსონალური მონაცემები, როგორიცაა თქვენი სახელი ან მომხმარებლის სახელი, იმპორტირებული იქნება თქვენი სოციალური ქსელიდან ან მოთანამშრომლე სუბიექტის ანგარიშიდან. ასევე გაითვალისწინეთ, რომ ამ სერვისზე თქვენ მიერ მოწოდებული მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება თქვენი სოციალური ქსელის ან მოთანამშრომლე სუბიექტისთვის და ექვემდებარება მათ

მიზანი	დამატებითი ინფორმაცია
	კონფიდენციალურობის პოლიტიკას, ამიტომ გირჩევთ გადახედოთ თქვენი კონფიდენციალურობის პარამეტრებს და წაიკითხოთ სოციალური ქსელის ან მოთანამშრომლე სუბიექტის კონფიდენციალურობის პოლიტიკა იმისათვის, რათა უფრო დეტალური ინფორმაცია მიიღოთ თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ მათი მომსახურებებით სარგებლობისას.
4. მარკეტინგული მიზნებისთვის.	ITX MERKEN დაამუშავებს თქვენს მონაცემებს, ძირითადად, შემდეგისთვის: ▪ მოხდეს სერვისების პერსონალიზაცია, რომელსაც გთავაზობთ ITX MERKEN და მიეცეს მას საშუალება, მოგაწოდოთ რეკომენდაციები პლატფორმაზე ჩვენთან ურთიერთობის და თქვენი მომხმარებლის პროფილის ანალიზის (მაგალითად, თქვენი შენაძენისა და დათვალიერების ისტორიის საფუძველზე) საფუძველზე. ▪ თუ/როდესაც თქვენ გამოიწერეთ ჩვენს საინფორმაციო ბიულეტენს, ITX MERKEN დაამუშავებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს თქვენი გამოწერის სამართავად, მათ შორის ჩვენს პროდუქტებზე ან მომსახურებებზე მორგებული ინფორმაციის გაგზავნით სხვადასხვა საშუალებებით (მაგალითად, ელ.ფოსტა ან სმს). ITX MERKEN-მა შეიძლება ასევე გახადოს ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი შეხსენების შეტყობინებების საშუალებით, იმ შემთხვევაში, თუ ისინი თქვენს მოწყობილობაზე გააქტიურებული გაქვთ. ▪ შესაბამისად, გაითვალისწინეთ, რომ მონაცემთა ეს დამუშავება გულისხმობს თქვენი მომხმარებლის ან კლიენტის პროფილის ანალიზს თქვენი პრეფერენციების დასადგენად და შესაბამისად იმის გასარკვევად, თუ რომელი პროდუქტები და მომსახურება შეესაბამება თქვენს სტილს. მაგალითად, თქვენი შესყიდვებისა და დათვალიერების ისტორიიდან გამომდინარე (მაგ., სტატიების მიხედვით, რომლებზეც დააწკაპუნეთ), ITX MERKEN შემოგთავაზებთ პროდუქტებს, რომლებიც, ITX MERKEN-ის აზრით, შესაძლოა გაინტერესებდეთ, და თუ რეგისტრირებული მომხმარებელი

მიზანი	დამატებითი ინფორმაცია
	ხართ, ჩვენ თქვენთვის უზრუნველყოფთ "აღდგენითი კალათის" ფუნქციას. ▪ განსოვდეთ, რომ თქვენ შეგიძლიათ გააუქმოთ საინფორმაციო ბიულეტენის გამოწერა ნებისმიერ დროს საფასურის გარეშე პლატფორმის "საინფორმაციო ბიულეტენის" განყოფილებაში, ასევე იმ ინსტრუქციების გამოყენებით, რომელსაც ჩვენ მოგაწვდით თითოეულ შეტყობინებაში. თუ არ გსურთ შეხსენების შეტყობინებების მიღება, შეგიძლიათ ამ პარამეტრის გამორთვა თქვენს მობილურ მოწყობილობაზე. ▪ გიჩვენოთ რეკლამები ინტერნეტში, რომლებიც შეიძლება იზილოთ ვებსაიტებისა და აპლიკაციების მონახულებისას, მაგალითად, სოციალურ მედიაში. ზოგჯერ ჩვენ მიერ ნაჩვენები რეკლამები შეიძლება იყოს შემთხვევითი, მაგრამ სხვა შემთხვევებში ისინი შეიძლება იყოს რეკლამები, რომლებიც დაკავშირებულია თქვენს პარამეტრებთან ან შესყიდვებისა და დათვალიერების ისტორიასთან. ▪ თუ იყენებთ სოციალურ მედიას, ITX MERKEN-მა შეიძლება კომპანიებს, რომლებთანაც თანამშრომლობს, მიაწოდოს გარკვეული ინფორმაცია, რათა მათ გაჩვენონ ჩვენი ბრენდის რეკლამები და, ზოგადად, შემოგთავაზონ თქვენ და თქვენ მსგავს მომხმარებლებს ისეთი რეკლამები, რომლებიც ეყრდნობიან თქვენს პროფილს აღნიშნული სოციალური მედიის საიტებზე. თუ გსურთ თქვენი მონაცემების გამოყენების შესახებ ინფორმაცია და იმაზე, თუ როგორ მუშაობს რეკლამა სოციალურ ქსელში, გთხოვთ გადახედოთ სოციალური მედიის საიტების კონფიდენციალურობის პოლიტიკას, რომელზეც გაქვთ შექმნილი პროფილები. ▪ ITX MERKEN ასევე იყენებს თქვენს მონაცემებს მაჩვენებლების გაზომვების და სეგმენტური ანალიზების შესასრულებლად იმ რეკლამებზე, რომლებსაც ჩვენ მომხმარებლებს ვაჩვენებთ ჩვენი ზოგიერთი მოთანამშრომლე სუბიექტის პლატფორმებზე. ამისათვის ITX MERKEN თანამშრომლობს ამ მესამე მხარეებთან, რომლებიც მას სთავაზობენ საჭირო ტექნოლოგიას (მაგალითად, ქუქი-ჩანაწერები, პიქსელები და ა.შ.) ამ სერვისების გამოსაყენებლად. გაითვალისწინეთ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ITX MERKEN ამ მოთანამშრომლე სუბიექტებს არ აწვდის

მიზანი	დამატებითი ინფორმაცია
	მაიდენტიფიცირებელ პერსონალურ მონაცემებს, ის მათ ყოველ ჯერზე აძლევს იდენტიფიკატორის გარკვეულ ფორმას (მაგალითად, ქუქი-ჩანაწერებთან ასოცირებული იდენტიფიკატორი და ა.შ.). თუ ამ საკითხზე მეტი ინფორმაცია გსურთ, გთხოვთ, გაეცნოთ ჩვენი ქუქი-ჩანაწერების პოლიტიკას. ანალოგიურად, თქვენ შეგიძლიათ ხელახლა დააყენოთ თქვენი სარეკლამო ID ან გათიშოთ პერსონალიზებული რეკლამები თქვენს მოწყობილობაზე, თქვენი პარამეტრების რეგულირებით თქვენი მოწყობილობის პარამეტრების განყოფილებაში. ▪ მონაცემთა გამდიდრება: როდესაც ITX MERKEN აგროვებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს სხვადასხვა წყაროდან, მას შეუძლია დააკავშიროს ისინი გარკვეულ გარემოებებში, რათა გაუმჯობესდეს ჩვენ მიერ თქვენი საჭიროებების და პრეფერენციების გაგება პროდუქტებსა და მომსახურებებთან დაკავშირებით (მათ შორის, ანალიზის მიზნით, მომხმარებლის პროფილების შესაქმნელად, მარკეტინგული კვლევებისთვის, ხარისხის კვლევებისთვის და ჩვენს მომხმარებლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის). ეს ეხება, მაგალითად, იმ გზებს, თუ როგორ აერთიანებს ITX MERKEN თქვენს ინფორმაციას, თუ თქვენ გაქვთ რეგისტრირებული ანგარიში, იყენებთ იმავე ელ.ფოსტის მისამართს რომელიც მიბმული გაქვთ ანგარიშზე, ახორციელებთ შესყიდვას როგორც სტუმარი, ან ავტომატურად შეგროვებულ ინფორმაციას (მაგალითად, IP და MAC მისამართები ან მეტამონაცემები), რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს იმ ინფორმაციას, რომელიც თქვენ მოგვაწოდეთ პირდაპირ პლატფორმაზე ან ჩვენს რომელიმე მაღაზიაში თქვენი აქტივობების საშუალებით (მაგალითად, ინფორმაცია თქვენს შესყიდვებთან დაკავშირებით, იქნება ეს ფიზიკურად არსებულ მაღაზიებში თუ ინტერნეტით, თქვენი პრეფერენციები და ა.შ.). ▪ მონაცემთა შეგროვება ასევე შეიძლება მოხდეს წამახალისებელი ქმედებებისთვის (მაგალითად, კონკურსების ორგანიზებისთვის ან იმ ნივთების

მიზანი	დამატებითი ინფორმაცია
	გამოგზავნისთვის, რომელიც ინახება თქვენს მიერ მითითებულ ფოსტის მისამართზე). ▪ პლატფორმაში ან სოციალურ ქსელებში ჩვენი არხების საშუალებით ფოტოსურათების გავრცელებისთვის, რომლებიც თქვენ საჯაროდ გააზიარებთ, იმის გათვალისწინებით, რომ თქვენ ITX MERKEN-ს თანხმობას აძლევთ ამაზე.
5. მოხერხებულობის და ხარისხის ანალიზი ჩვენი მომსახურების გასაუმჯობესებლად	თუ თქვენ დაუკავშირდებით ჩვენს პლატფორმას, ITX MERKEN მოგაწვდით ინფორმაციას, რომ თქვენს ვებ-ნავიგაციის ისტორიას გამოიყენებს ანალიტიკური და სტატისტიკური მიზნებისთვის, ანუ, ჩვენს პლატფორმასთან და ასევე, სხვა ვებ-გვერდებზე და აპლიკაციებზე ჩვენ მიერ დანერგილ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან მომხმარებლების დაკავშირების თავისებურებების დადგენის მიზნით. აღნიშნული საჭიროა იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი სერვისები. გარდა ამისა, ITX MERKEN ზოგჯერ ასრულებს ხარისხის კვლევებს და ქმედებებს, რომ იცოდეს ჩვენი მომხმარებლებისა და კლიენტების კმაყოფილების დონე და გამოავლინოს ის სფეროები, რომელთა გაუმჯობესებაც შეგვიძლია.

3. სამართლებრივად როგორ შეგვიძლია თქვენი მონაცემების დამუშავება?

სამართლებრივი პირობები, რომლის თანახმადაც ჩვენთვის ნებადართულია თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება, ასევე დამოკიდებულია იმ მიზნებზე, რისთვისაც ვამუშავებთ მათ, როგორც ეს განმარტებულია შემდეგ ცხრილში:

მიზანი	სამართლებრივი მდგომარეობა
1. პლატფორმაზე თქვენი რეგისტრაციის მართვა	ITX MERKEN ამუშავებს თქვენს მონაცემებს, რადგან ეს აუცილებელია პლატფორმის გამოყენების მარეგულირებელი პირობებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმისთვის, რომ თქვენ შეძლოთ დარეგისტრირდეთ, როგორც მომხმარებელი პლატფორმაზე, ITX MERKEN საჭიროებს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას, ვინაიდან სხვაგვარად ვერ შეძლებს თქვენი რეგისტრაციის მართვას. ანალოგიურად, თუ გადაწყვეტთ პლატფორმის გამოყენებას სხვა ტერიტორიაზე მოგზაურობისას, შესაძლოა, დაგვჭირდეს თქვენი მონაცემების გაზიარება მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედი ქსელის კომპანიასთან, რათა გაადვილდეს იქ თქვენი ანგარიშის გამოყენება. ამ მიზნით ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს თქვენივე თანხმობის საფუძველზე. მიგვაჩნია, რომ ჩვენ გვაქვს ლეგიტიმური ინტერესი დავაკავშიროთ თქვენი ანგარიში თქვენს შესყიდვებთან და პლატფორმის სხვადასხვა არნით შეგროვებულ მონაცემებთან თქვენი აქტივობის შესახებ.

მიზანი	სამართლებრივი მდგომარეობა
2. განვითარება, ეფექტიანობა და ნასყიდობის ან სერვისის ხელშეკრულების გაფორმება	ჩვენ ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს, რადგან ეს აუცილებელია, რომ ჩვენს შორის გაფორმდეს სერვისის ან მომსახურების ხელშეკრულება. მონაცემთა დამუშავების შემთხვევები, რომლებიც დაკავშირებულია შეძენის პროცესთან, აქტიურდება მხოლოდ იმიტომ, რომ ითხოვთ ამას ან გვაძლევთ ამის ნებართვას. ამის მაგალითია თქვენი საგადახდო მონაცემების შენახვა სამომავლო შენაძენებისთვის, ან მონაცემთა დამუშავება გადახდის ქვითრების დასკანერებისთვის, აპლიკაციის „საფულის“ ფუნქციის საშუალებით, ან თქვენთვის „მალე გაყიდვაში“ / „მალე დაბრუნდება“ ფუნქციების მოწოდებისთვის (თუ ასეთი ფუნქციები, ხელმისაწვდომია). ასეთ შემთხვევებში, ჩვენ მიერ თქვენი მონაცემების დამუშავება ემყარება თქვენივე თანხმობას. ამის გარდა, ჩვენ ვამუშავებთ თქვენი მდებარეობის მონაცემებს, როდესაც თქვენ გვაძლევთ ამის თანხმობას, რათა შემოგთავაზოთ კონკრეტული სერვისები აპლიკაციის საშუალებით, ჩვენს ფიზიკურად არსებულ ზოგიერთ მაღაზიაში სტუმრობისას. მიგვაჩნია, რომ ჩვენ გვაქვს ლეგიტიმური ინტერესი ჩავატაროთ აუცილებელი შემოწმება პლატფორმის პოტენციური თაღლითური გამოყენების აღმოსაჩენად და აღსაკვეთად, მაგალითად, შესყიდვის ან ნივთის დაბრუნებისას. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ასეთი მონაცემების დამუშავება პოზიტიურ შედეგებს აძლევს ყველა ჩართულ მხარეს: თქვენ, რადგან ასეთი დამუშავება საშუალებას გვაძლევს, რომ დავწერგოთ მესამე პირების მხრიდან თაღლითობის მცდელობისგან დაცვის საშუალებები; ჩვენ, რადგან ასეთი დამუშავება საშუალებას გვაძლევს, რომ აღვკვეთოთ პლატფორმაზე არაავტორიზებული წვდომა; ნებისმიერ ჩვენს მომხმარებელს და საზოგადოებას, რადგან ასეთი დამუშავება იცავს მათ ინტერესებსაც, კერძოდ, თაღლითური აქტივობის პრევენციისა და მათი ჩადენის შემთხვევაში, ფაქტის დროულად გამოვლენის გზით.

მიზანი	სამართლებრივი მდგომარეობა
3. მომხმარებელთა მხარდაჭერის სერვისი	მივიჩნევთ, რომ გვაქვს კანონიერი ინტერესი, რომ გავცეთ პასუხი შეკითხვებს ან კონსულტაციის მოთხოვნას, რომელსაც თქვენ გვიგზავნით სხვადასხვა წყაროების საშუალებით. ვაცნობიერებთ, რომ მონაცემთა ამ მიზნით დამუშავება სასარგებლოა თქვენთვისაც, რადგან გვეძლევა საშუალება გაგიწიოთ ადეკვატური მხარდაჭერა და მოვანდინოთ თქვენს მიერ წამოჭრილ საკითხებზე რეაგირება. როდესაც გვიკავშირდებით თქვენს მიერ, პლატფორმის მეშვეობით განხორციელებულ შენაძენებთან/მიღებულ სერვისთან დაკავშირებით, თქვენი მონაცემების დამუშავება აუცილებელია, რომ მოხდეს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების შესრულება. როდესაც თქვენი თხოვნა უკავშირდება თქვენი უფლებების გამოყენებას, რომლებზედაც ქვემოთ მოგახსენებთ, ან პრეტენზიებს ჩვენს პროდუქტებზე ან მომსახურებებზე, სამართლებრივად გვეძლევა უფლება, დავამუშაოთ თქვენი მონაცემები ჩვენი სამართლებრივი ვალდებულებების შესაბამისად.

მიზანი	სამართლებრივი მდგომარეობა
4. მარკეტინგი	ITX MERKEN-ს აქვს კანონიერი უფლება დაამუშაოს თქვენი მონაცემები მარკეტინგული მიზნებისათვის მასზე თქვენ მიერ გაცემული თანხმობის შესაბამისად, მაგალითად, როდესაც თქვენ იღებთ პერსონალიზირებულ ინფორმაციას სხვადასხვა არხის საშუალებით; თქვენს მოწყობილობაზე შეხსენების შეტყობინებების გაგზავნის დაშვებისას; თქვენი მოწყობილობის კონფიდენციალურობის პარამეტრების შესაბამისად კონფიდენციალურობის პარამეტრების შესაბამისად; როდესაც თანხმობას აცხადებთ ქუქი-ჩანაწერების პარამეტრების საშუალებით; ან როდესაც იღებთ იურიდიულ პირობებს, რომ მონაწილეობა მიიღოთ სარეკლამო მოქმედებაში ან გამოაქვეყნოთ თქვენი სურათები პლატფორმაზე ან ჩვენი სოციალური ქსელების არხებზე. იმისათვის, რომ შემოგთავაზოთ პერსონალიზებული სერვისები ან გიჩვენოთ თქვენზე მორგებული ინფორმაცია, იქნება ეს პლატფორმაზე თუ მესამე მხარის მხრიდან, ასევე მონაცემთა გამდიდრებაში თქვენი ჩართვისთვის, ITX MERKEN თვლის, რომ მას აქვს ლეგიტიმური ინტერესი, აწარმოოს პროფილირება იმ ინფორმაციით, რომელიც მას აქვს თქვენზე (მაგალითად, თქვენი დეტალური ინფორმაციის, პარამეტრების ან შესყიდვების ისტორია) და თქვენ მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემებით, რადგან ITX MERKEN აცნობიერებს, რომ ამ მონაცემთა დამუშავება თქვენთვისაც სასარგებლოა, ვინაიდან ის საშუალებას გაძლევთ გაუმჯობესოთ თქვენი მომხმარებლის გამოცდილება და მიიღოთ ინფორმაციაზე წვდომა თქვენთვის სასურველი პრეფერენციების შესაბამისად.
5. გამოყენებადობის და ხარისხის ანალიზი	მიგვაჩნია, რომ ITX MERKEN-ს აქვს ლეგიტიმური ინტერესი გაანალიზოს პლატფორმის მოხერხებულობის და მომხმარებლის კმაყოფილების დონე, ვინაიდან გვესმის, რომ ამ მონაცემების დამუშავება ასევე სასარგებლოა თქვენთვის, რადგან მიზანია მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესება და უფრო მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდება.

4. რამდენი ხნით შევინახავთ თქვენს მონაცემებს?

პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ჩვენ შევინარჩუნებთ თქვენს მონაცემებს, დამოკიდებული იქნება იმ მიზნებზე, რისთვისაც მათ ვამუშავებთ, როგორც ეს ქვემოთ არის განმარტებული:

მიზანი	მონაცემთა შენახვის ვადა
1. პლატფორმაზე თქვენი რეგისტრაციის მართვა	ITX MERKEN დაამუშავებს თქვენს მონაცემებს იმ დროის განმავლობაში, როდესაც იქნებით რეგისტრირებული მომხმარებელი (ანუ მანამ, სანამ არ გადაწყვეტთ გამოწერის გაუქმებას).
2. განვითარება, ეფექტიანობა და ნასყიდობის ან სერვისის ხელშეკრულების გაფორმება	ჩვენ დავამუშავებთ თქვენს მონაცემებს იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭიროა თქვენ მიერ პროდუქტის ან მომსახურების შეძენის მართვისთვის, პოტენციური დაბრუნებების, საჩივრების ან პრეტენზიების ჩათვლით, რომლებიც დაკავშირებულია მოცემული პროდუქტის ან მომსახურების შეძენასთან. ზოგჯერ, ჩვენ მონაცემებს დავამუშავებთ მხოლოდ იმ დროით, სანამ თქვენ ამას გადაწყვეტთ, ისევე როგორც გადახდის მონაცემების შემთხვევისას, რომლის შენახვაც მოითხოვთ მომავალი შესყიდვებისთვის (სადაც ეს ფუნქცია ხელმისაწვდომია).
3. მომხმარებელთა მხარდაჭერა	ჩვენ დავამუშავებთ თქვენს მონაცემებს მხოლოდ იმ დროით, რომელიც საჭიროა თქვენი მოთხოვნაზე ან განაცხადზე პასუხის გასაცემად.
4. მარკეტინგი	ITX MERKEN დაამუშავებს თქვენს მონაცემებს, სანამ არ გააუქმებთ გამოწერას ან უარს არ იტყვით საინფორმაციო ბიულეტენის მიღებაზე. ამის მსგავსად, ჩვენ შემოგთავაზებთ ინდივიდუალურად მორგებულ რეკლამებს იქამდე, სანამ თქვენ, თქვენი მოწყობილობის ბრაუზერის და/ან ქუქი-ჩანაწერების პარამეტრებიდან არ გამოითხოვთ ამის შესახებ თანხმობას. თუ თქვენ მონაწილეობას მიიღებთ წამახალისებელ აქტივობაში, ჩვენ შევინახავთ მის ფარგლებში მიღებულ ინფორმაციას ამ აქტივობის დასრულებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.
5. მოხერხებულობის და ხარისხის ანალიზი	ITX MERKEN დროდადრო დაამუშავებს თქვენს მონაცემებს გარკვეული დროით, რომლის განმავლობაში ჩვენ გავაგრძელებთ გარკვეულ ქმედებებს ან კვლევებს ხარისხთან დაკავშირებით, ან სანამ ეს არ მოახდენს თქვენი დათვალიერების ისტორიის ანონიმიზაციას.

მიუხედავად იმისა, რომ თქვენს მონაცემებს დავამუშავებთ მკაცრად განსაზღვრული საჭირო დროით, რომელიც საჭიროა მოცემული მიზნის მისაღწევად, ჩვენ კვლავ შევინახავთ მათ სათანადოდ და დაცულად იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც შეიძლება წარმოიშვას პასუხისმგებლობა მათი დამუშავებისათვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მას შემდეგ, რაც თითოეულ პოტენციურ მოქმედებას გაუვა ვადა, ჩვენ წავშლით პერსონალურ მონაცემებს.

5. ვუზიარებთ თუ არა თქვენს მონაცემებს მესამე პირებს?

ამ „კონფიდენციალურობისა და ქუქი-ჩანაწერების პოლიტიკაში“ აღნიშნული მიზნების მისაღწევად, თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომა უნდა მივცეთ Inditex Group-ის წარმომადგენლებს და მესამე მხარეებს, რომლებიც გვცემარებიან ჩვენ მიერ თქვენთვის შემოთავაზებულ მომსახურებებში; ესენი არიან

- ფინანსური ინსტიტუტები;
- თაღლითობის დადგენისა და პრევენციის სერვისის მომწოდებელი პირები;
- ტექნოლოგიური და ანალიტიკური მომსახურების მომწოდებლები,
- ლოგისტიკასთან, ტრანსპორტირებასთან და მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურების მომწოდებლები და პარტნიორები და/ან მათი პარტნიორი დაწესებულებები,
- მომხმარებელთა მხარდაჭერის სერვისის მომწოდებლები;
- მომსახურების მომწოდებლები და მოთანამშრომლე სუბიექტები, რომლებიც დაკავშირებულია მარკეტინგთან და რეკლამირებასთან, მაგალითად, სარეკლამო სააგენტოები, სარეკლამო პარტნიორები ან სოციალური მედია, რომლებიც გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება მოქმედებდნენ, როგორც ერთობლივი დამამუშავებლები.

მომსახურების ეფექტურობის მიზნით, ამ პროვაიდერების ნაწილი იმყოფება ევროპის ეკონომიკური ზონის გარეთ, რომლებიც არ გვთავაზობენ ევროკავშირის დონის მონაცემთა დაცვის მექანიზმებს. ასეთ შემთხვევებში, ჩვენ გაცნობებთ, რომ ჩვენ გადავცემთ თქვენს მონაცემებს ადეკვატურ დამცველებს და ყოველთვის დავიცავთ მათ კონფიდენციალურობას, მონაცემთა გადაცემის ყველაზე მოსახერხებელი საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენებით, მაგალითად როგორიცაა „სტანდარტული სახელშეკრულებო დებულებები“ და ნებისმიერი შესაბამისი დამხმარე ზომები.. თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ ასეთი „სტანდარტული სახელშეკრულებო დებულებების“ შინაარსს შემდეგი ბმულის საშუალებით: https://commission.europa.eu/law/law-topic/data-protection/international-dimension-data-protection/standard-contractual-clauses-scc_en.

თუ გადაწყვეტთ პლატფორმის გამოყენებას სხვა ტერიტორიაზე მოგზაურობისას, შესაძლოა, დაგჭირდეს თქვენი მონაცემების გაზიარება მოცემულ ადგილმდებარეობაზე მოქმედი ქსელის კომპანიასთან. ეს მოგვცემს თქვენი სამომხმარებლო ანგარიშის შექმნის ან სინქრონიზაციის საშუალებას, რაც გაგიადვილებთ შეძენას მოცემულ დანიშნულების ადგილზე. ამ შეტყობინების

სამართლებრივი საფუძველია თანხმობა, რომელსაც თქვენ გვიცხადებთ, როგორც ეს ახსნილია ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის მე-3 პუნქტში.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მივყიდით ან გადავცემთ ჩვენს ბიზნესს ან აქტივებს სრულად ან ნაწილობრივ სხვა კომპანიას Inditex Group-ის შიგნით ან მის გარეთ, ან განვახორციელებთ რაიმე სხვა ბიზნეს ოპერაციას კორპორატიული რეორგანიზაციის შედეგად, ჩვენ შესაძლოა თქვენი პერსონალური მონაცემები გავუმჟღავნოთ ამგვარი ბიზნესის ან აქტივების პოტენციურ მიმღებს. თუ ასეთი გაყიდვა ან გადაცემა მოხდება, ჩვენ გონივრულ ძალისხმევას გამოვიყენებთ, რომ მიმღებს მივცეთ მითითებები, გამოიყენოს პერსონალური ინფორმაცია, რომელიც თქვენ მოგვაწოდეთ ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს ჩვენი „კონფიდენციალურობის და ქუქი-ჩანაწერების პოლიტიკას“. ამ შემთხვევაში, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენ გვაქვს ლეგიტიმური ინტერესი, რომელიც გამოწვეულია ჩვენი კორპორატიული სტრუქტურის რეორგანიზაციით.

გარდა ამისა, თუ პლატფორმის გამოყენებას აირჩევთ სხვადასხვა ბაზრებზე (ე.ი. სხვადასხვა ბაზრებზე რეგისტრირებული მომხმარებლის ანგარიშების შექმნით იმავე ელ.ფოსტის მისამართით), შეიძლება დაგვჭირდეს თქვენს ანგარიშებთან ან თქვენს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება იმ ბრენდების კომპანიებისთვის, რომლებიც ამ ბაზრებზე ოპერირებენ, რამდენადაც ისინი უშუალოდ მონაწილეობენ მე-2 ნაწილში აღწერილი რომელიმე მიზნის მისაღწევად. მიგვაჩნია, რომ ეს აუცილებელია ჩვენი საერთო ინტერესებისა და პრეფერენციების შესაბამისად.

გარდა ამისა, ITX MERKEN გაცნობებთ, რომ თქვენი მონაცემები უნდა გავუზიაროთ ჩვენს მშობელ კომპანიას, **Industria de Diseño Textil, S.A. (Inditex, S.A.)**, Inditex Group-ის ჰოლდინგ კომპანიას, რომელიც მდებარეობს ესპანეთში, მშობელი კომპანიის ვალდებულებების შესასრულებლად.

6. რა უფლებები გაქვთ, როდესაც თქვენს მონაცემებს ჩვენთვის ხელმისაწვდომს ხდით?

ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას შევინარჩუნოთ თქვენი პერსონალური მონაცემები კონფიდენციალურად და უზრუნველყოთ თქვენი უფლებების გამოყენება. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი უფლებები, ყოველგვარი დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე, ჩვენთვის შემდეგ მისამართზე - dataprotection@zara.com ელექტრონული ფოსტის წერილის გამოგზავნით, სადაც მარტივი ფორმით შეგვატყობინებთ თქვენი მოთხოვნის მიზეზს და იმ უფლებას, რომლის გამოყენებაც გსურთ. თავის მხრივ, თუ ჩვენ ჩავთლით, რომ ეს აუცილებელია თქვენი იდენტიფიცირებისთვის, შესაძლოა მოგთხოვოთ თქვენი ვინაობის/პირადობის დამდგენი დოკუმენტის ასლის წარმოდგენა.

გარდა ამისა, ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ თქვენი უფლებების გამოყენების და თქვენი კონფიდენციალურობის პარამეტრების დაყენების შესაძლებლობა, ჩვენი ზოგიერთი სერვისის გამოყენებისას, ან ჩვენი პლატფორმის სპეციფიკური არხების ხელმისაწვდომობით.

იმის მიუხედავად, თუ რომელი სამართლებრივი საფუძვლით ან რა მიზნით ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს, თქვენ გაქვთ შემდეგი უფლებები:

- მოითხოვთ **წვდომა** თქვენს იმ პერსონალურ მონაცემებზე, რომლებიც ჩვენთან ინახება. შეგახსენებთ, რომ თუ თქვენ ხართ პლატფორმაზე დარეგისტრირებული მომხმარებელი, ასევე შეგიძლიათ გაეცნოთ ამ ინფორმაციას თქვენი ონლაინ ანგარიშის შესაბამის განყოფილებაში.
- მოითხოვთ თქვენი იმ პერსონალური მონაცემების **შესწორება**, რომელიც ჩვენთან ინახება. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თუ თქვენ ხართ პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებელი, თავისუფლად შეგიძლიათ თქვენი ონლაინ ანგარიშის შესაბამის განყოფილებაში ვიზიტით მარტივად შეცვალოთ ან განაახლოთ თქვენი პერსონალური მონაცემები. ნებისმიერ შემთხვევაში, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი პროცედურის ფარგლებში, ჩვენთვის პერსონალური მონაცემების აქტიურად გაზიარებით, თქვენ იძლევთ გარანტიას, რომ ეს მონაცემები **ნამდვილი და ზუსტია**, და თქვენ იღებთ ვალდებულებას, რომ შეგვატყობინოთ ამ მონაცემთა ნებისმიერი ცვლილება ან მოდიფიკაცია. პლატფორმისთვის, მასზე პასუხისმგებელი პირისთვის, ან მესამე პირებისთვის მიყენებულ ნებისმიერ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია რეგისტრაციის ფორმის შევსების დროს ან შემდგომში, თქვენს მიერ მცდარი, არაზუსტი ან არასრული ინფორმაციის მოწოდებით, პასუხისმგებელი იქნებით თქვენ. გთხოვთ გახსოვდეთ, რომ ზოგადი წესის შესაბამისად, თქვენ უნდა მოგვაწოდოთ მხოლოდ თქვენი და არა მესამე პირების მონაცემები, გარდა ამ პოლიტიკის დოკუმენტით ნებადართული გამონაკლისი შემთხვევებისა.
- მოითხოვთ, რომ **წავშალოთ** თქვენი პერსონალური მონაცემები იმის გათვალისწინებით, რომ ისინი აღარ არის საჭირო იმ მიზნისთვის, რისთვისაც უნდა განვაგრძოთ მათი დამუშავება, როგორც ეს განვმარტეთ ზემოთ, ან როდესაც მათი დამუშავების სამართლებრივი უფლება აღარ გვაქვს.
- მოითხოვთ, რომ **გავაუქმოთ ან შევზღუდოთ** თქვენი პერსონალური მონაცემების **დამუშავება**, რაც გულისხმობს იმას, რომ გარკვეულ შემთხვევებში შეგიძლიათ მოითხოვოთ მონაცემების დამუშავების დროებით შეჩერება.

თუ თქვენ მოგვეცით **თანხმობა** თქვენი მონაცემების ნებისმიერი მიზნით დამუშავებაზე, თქვენ **ასევე გაქვთ უფლება ნებისმიერ დროს გამოითხოვოთ ასეთი თანხმობა**. ზოგიერთი გარემოება, რომლის დროსაც შეგიძლიათ თქვენი თანხმობა გამოითხოვოთ, მოცემულია მე-2 ნაწილში, სადაც განვმარტავთ, თუ რა მიზნებისთვის ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს.

თუ არ გსურთ, რომ მესამე მხარეს გავუგზავნოთ ინფორმაცია თქვენთვის რეკლამების საჩვენებლად, ამის გაკეთება შეგიძლიათ რამდენიმე საშუალებით, როგორიცაა თქვენს მოწყობილობის, ბრაუზერის და/ან ქუქი-ჩანაწერების პარამეტრების შეცვლა, კონფიდენციალურობის პოლიტიკის გადახედვა და სოციალური მედიის საიტების პარამეტრების შემოწმება, რომლებზეც გაქვთ პროფილები, ან ჩვენთვის ელ.წერილის

გამოგზავნით ზემოთ მითითებულ ელ.ფოსტაზე, რომლითაც შეგვატყობინებთ თქვენი მოთხოვნის შესახებ.

როდესაც სამართლებრივად გვეძლევა უფლება დავამუშავოთ თქვენი მონაცემები თქვენი **თანხმობის** შესაბამისად ან **ხელშეკრულების** მიზნებისათვის, როგორც ეს განმარტებულია მე-3 ნაწილში, თქვენ ასევე გექნებათ უფლება მოითხოვოთ **თქვენი პერსონალური მონაცემების პორტაბელურობა**. რაც ნიშნავს, რომ თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ ჩვენთვის გაზიარებული პერსონალური მონაცემები სტრუქტურის მქონე, გამოყენებად და ტექნოლოგიურად მისაღებ ფორმატში, რაც შემდგომში, ჩვენი მხრიდან რაიმე დაბრკოლების შექმნის გარეშე, შეგიძლიათ გამოიყენოთ მათი სხვა პირებისთვის გადაცემისთვის.

გარდა ამისა, როდესაც თქვენი მონაცემების დამუშავება ემყარება ჩვენს **კანონიერ ინტერესს**, თქვენ გექნებათ უფლება, რომ **უარი განაცხადოთ** თქვენს მონაცემთა დამუშავებაზე.

ბოლოს კი, გატყობინებთ, რომ თქვენ გაქვთ უფლება შეიტანოთ საჩივარი მონაცემთა დაცვის **მარეგულირებელ ორგანოში**, კერძოდ:

- ნიდერლანდების მონაცემთა დაცვის ორგანოში (Autoriteit Persoonsgegevens)
<https://autoriteitpersoonsgegevens.nl/nl>;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში
<https://www.personaldata.ge/en>

7. რა ხდება, როდესაც თქვენ მესამე მხარის მონაცემებს გვაწვდით ან მესამე მხარე გვაწვდის თქვენს მონაცემებს?

ჩვენ გთავაზობთ ფუნქციებს ან სერვისებს, რომლებიც მესამე მხარის პერსონალური მონაცემების დამუშავებას მოითხოვს, რაც თქვენ უნდა მოგვაწოდოთ, მაგალითად, სასაჩუქრე ბარათის გააქტიურების და გაგზავნის ან სასაჩუქრე ვაუჩერის შესახებ განაცხადის მართვის ქმედებები (სადაც ეს ფუნქციები ხელმისაწვდომია), ან როდესაც მესამე მხარეს უფლებას აძლევთ მიიღოს შეკვეთა ჩვენს მაღაზიებში ან პარტნიორ დაწესებულებებში. თუ მესამე მხარის პერსონალურ მონაცემებს მოგვაწვდით ან თუ აუცილებელია, რომ ჩვენ ვთხოვოთ მესამე მხარეს მიიღოს შეკვეთა თქვენი სახელით, თქვენ ადასტურებთ, რომ მათ აცნობეთ მიზნებისა და იმ მეთოდის შესახებ, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვამუშავებთ მათ პერსონალურ მონაცემებს.

თუ მესამე მხარემ მოგვაწოდა თქვენი მონაცემები ან თქვენ თავად მოგვაწოდეთ ჩვენი რომელიმე მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი ფუნქციის ან მომსახურების შედეგად, ჩვენ მათ გამოვიყენებთ თითოეულ შემთხვევაში, მოცემული ფუნქციის ან მომსახურების სამართავად, ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში ჩამოთვლილი მიზნების საზღვრების შესაბამისად, რომლის ბმული ყოველთვის ერთვის ჩვენს შეტყობინებებს.

8. ცვლილებები კონფიდენციალურობისა და ქუქი-ჩანაწერების პოლიტიკაში

ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ამ „კონფიდენციალურობისა და ქუქი-ჩანაწერების პოლიტიკაში“, როდესაც ამას საჭიროდ მივიჩნევთ. თუ ასე მოვიქცევით, ჩვენ შეგატყობინებთ პლატფორმაზე სხვადასხვა პროცედურის საშუალებით (მაგალითად, ბანერის საშუალებით, პოპ-აპის ან შეხსენების შეტყობინებით), ან შესაძლოა გამოგიგზავნოთ შეტყობინება ელ.ფოსტის მეშვეობით, როდესაც ცვლილება თქვენს კონფიდენციალურობას ეხება, რათა თქვენ შეძლოთ ცვლილებების გადახედვა, მათი შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, გააპროტესტოთ ან გააუქმოთ მომსახურების ან ფუნქციის გამოწერა. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ გირჩევთ დროდადრო გადახედოთ ამ „კონფიდენციალურობისა და ქუქი-ჩანაწერების პოლიტიკას“, მცირედი ცვლილებების აღმოსაჩენად ან ჩვენ მიერ ინტერაქტიული გაუმჯობესების გასაცნობად, და იგი ყოველთვის არის ინფორმაციის მუდმივი წერტილი ჩვენს ვებ-გვერდზე და აპლიკაციაში.

9. ინფორმაცია ქუქი-ჩანაწერების შესახებ

ჩვენ ვიყენებთ ქუქი-ჩანაწერებს და მსგავს მოწყობილობებს, რათა ხელი შევუწყოთ თქვენ მიერ პლატფორმის დათვალიერებას, გვესმოდეს, თუ როგორ ურთიერთობთ ჩვენთან და, გარკვეულ შემთხვევებში, გიჩვენოთ რეკლამები დათვალიერების ჩვევებზე დაყრდნობით. გთხოვთ, განაგრძოთ კითხვა, რომ უფრო დეტალურად გაიგოთ ქუქი-ჩანაწერების და მსგავსი მოწყობილობების შესახებ, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ, ასევე მათი დანიშნულება, როგორ უნდა მართოთ თქვენი პრეფერენციები და ასევე სხვა საინტერესო ინფორმაცია.

ქუქი-ფაილების პოლიტიკა

სანამ დაიწყებთ...

ამ ქუქი-ფაილების პოლიტიკაში იხილავთ ინფორმაციას, თუ როგორ ვიყენებთ ქუქი-ფაილებს და ანალოგიურ მოწყობილობებს, რომლებიც დაინსტალირებულია ჩვენი კლიენტებისა და მომხმარებლების ტერმინალებზე. ქუქი-ფაილების გამოყენება ზოგჯერ შეიძლება დაკავშირებული იყოს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან, ამიტომ გირჩევთ გაეცნოთ ჩვენს პლატფორმაზე არსებულ კონფიდენციალურობის დებულებას, თუ გაინტერესებთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ვიყენებთ ჩვენი კლიენტებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, როგორ ვიცავთ თქვენს უფლებებს, ან ტერმინოლოგიას, რომელსაც ვიყენებთ ჩვენს პლატფორმაზე (ვებსაიტზე, აპში ან ფიზიკურ მაღაზიებში).

ინფორმაცია ქუქი-ფაილების შესახებ

1. რა არის ქუქი-ფაილი?

ქუქი-ფაილი არის პატარა ტექსტური ფაილი, რომელსაც ვებსაიტი, აპი ან სხვა პლატფორმა ინახავს თქვენს კომპიუტერში, პლანშეტში, სმარტფონში ან სხვა მსგავს მოწყობილობაზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თქვენს მიერ დათვალიერებისა და გამოყენების შესახებ, მაგალითად, ტეგი, რომელიც განსაზღვრავს თქვენს მოწყობილობას. ქუქი-ფაილები საჭიროა, მაგალითად, დათვალიერების გასაადვილებლად და გასაგებად, თუ როგორ ურთიერთქმედებენ მომხმარებლები პლატფორმებთან, მათი გაუმჯობესების მიზნით. ისინი ასევე სასარგებლოა რეკლამის უზრუნველსაყოფად მომხმარებლის პრეფერენციების შესაბამისად, აგრეთვე ქვემოთ მოცემული სხვა მიზნებისთვის. ქუქი-ფაილები არ აზიანებს თქვენს კომპიუტერს ან მოწყობილობას.

“ქუქი-ფაილების” ქვეშ ჩვენ ასევე ვგულისხმობთ სხვა, მსგავს ტექნოლოგიებს, რომლებიც გამოიყენება ინფორმაციის დასაინსტალირებლად და/ან შესაგროვებლად თქვენს მოწყობილობაზე ან თქვენი მოწყობილობიდან, ისეთი, როგორც ფლემ ქუქი-ფაილები, ვებ სასიგნალო მოწყობილობები ან შეცდომები, პიქსელები, HTML5 (ლოკალური საცავი), და SDK ტექნოლოგიები აპებისთვის. ტერმინი ქუქი-ფაილები ასევე ეხება თითის ანაბეჭდის გამოყენებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტექნიკას იყენებენ ინფორმაციის კომბინირებისთვის, რაც დაგვეხმარება თქვენი მოწყობილობის იდენტიფიკაციაში. ეს ტექნოლოგიები ზოგჯერ ქუქი-ფაილების პარალელურად მოქმედებს ინფორმაციის შესაგროვებლად და შესანახად, ან თქვენს პლატფორმაზე გარკვეული მახასიათებლების ან სერვისების უზრუნველსაყოფად, ან მესამე მხარის რეკლამისთვის თქვენი დათვალიერების შესაბამისად.

ეს ზოგადი განმარტებაა, თუ რას ნიშნავს ქუქი-ფაილები და ის მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა. კონკრეტული ქუქი-ფაილები, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ, მოცემულია ქუქი-ფაილების პარამეტრების პანელზე ჩვენს პლატფორმაზე.

2. რა ტიპის ქუქი-ფაილები არსებობს?

გთხოვთ, გაეცანით სექციას, სადაც მოცემულია ინფორმაცია, თუ რა ტიპის ქუქი-ფაილები გამოიყენება ონლაინ გარემოში.

ქუქი-ფაილები შეიძლება იყოს კლასიფიცირებული შემდეგნაირად, მფლობელის მიხედვით:

- a. ძირითადი ქუქი-ფაილები: იგზავნება მომხმარებლის კომპიუტერში ან მოწყობილობაში რედაქტორის მიერ მართული კომპიუტერიდან ან დომენიდან და უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ მოთხოვნილ პლატფორმას ან სერვისს.
- b. მესამე მხარის ქუქი-ფაილები: იგზავნება მომხმარებლის კომპიუტერში ან მოწყობილობაში კომპიუტერიდან ან დომენიდან, რომელსაც არ მართავს რედაქტორი, არამედ სხვა პირი, რომელიც ამუშავებს ქუქი-ფაილებიდან მიღებულ მონაცემებს.

ქუქი-ფაილების კლასიფიკაცია შესაძლებელია შემდეგნაირად, მიზნის შესაბამისად:

- a. მკაცრად აუცილებელი ქუქი-ფაილები (ტექნიკური): ქუქი-ფაილები, რომლებიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს დაათვალიეროს ვებსაიტი, პლატფორმა ან აპი, და გამოიყენოს სხვადასხვა პარამეტრები და სერვისები მასზე. მაგალითად, ტრაფიკის კონტროლი, მონაცემების ან სესიის იდენტიფიცირება, შეზღუდული წვდომის სექციებზე ან შინაარსზე წვდომა, შეკვეთის ელემენტების დამახსოვრება, შეკვეთის შეძენის პროცესის დასრულება, გადახდის მართვა, სერვისის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თაღლითობის კონტროლი, უსაფრთხოების ელემენტების გამოყენება დათვალიერებისას, აპლიკაციის შევსება დასარეგისტრირებლად ან ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, გამოქვეყნებული ვიდეოს და აუდიოს შიგთავსის შენახვა, დინამიური შიგთავსის ჩართვა (მაგალითად, ტექსტის ან გამოსახულების ანიმაციის ჩატვირთვა) და შიგთავსის გაზიარება სოციალურ მედიაში. ვინაიდან ისინი მკაცრად აუცილებელია, ტექნიკური ქუქი-ფაილების გადმოწერა ხდება ნაგულისხმევად, როდესაც ისინი საჭიროა პლატფორმის საჩვენებლად ან მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი სერვისის უზრუნველსაყოფად.
- b. ფუნქციონალური ან პერსონალიზაციის ქუქი-ფაილები: ეს ქუქი-ფაილები საჭიროა ინფორმაციის დასამახსოვრებლად, რათა მომხმარებელმა შეძლოს წვდომა სპეციფიკური მახასიათებლების სერვისზე ან პლატფორმაზე, რომელსაც შეუძლია განასხვავოს მათი გამოცდილება სხვა მომხმარებლის გამოცდილებისგან. მაგალითად, ენა, შედეგების რაოდენობა, როდესაც მომხმარებელი აწარმოებს ძიებას, სერვისის გამოსახულება ან შიგთავსი, გამოყენებული ბრაუზერის ტიპის ან სერვისზე წვდომის რეგიონის მიხედვით და ა.შ. ქუქი-ფაილების არ მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ვებსაიტის შენელება ან ცუდად ადაპტირებული რეკომენდაციები.
- c. ანალიტიკური ქუქი-ფაილები: ამ ქუქი-ფაილებს შეუძლია განსაზღვროს მომხმარებელთა რაოდენობა, პლატფორმაზე მონახულებული სექციები და როგორ ურთიერთქმედებენ მომხმარებლები მასთან სტატისტიკური შეფასების და ანალიზის მიზნით, გაუმჯობესებების

განსახორციელებლად მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, თუ როგორ იყენებენ მომხმარებლები პლატფორმას ან სერვისს.

- d. ქცევითი სარეკლამო ქუჩი-ფაილები: რომლებიც ინახავენ ინფორმაციას მომხმარებლის ქცევის შესახებ, რომელიც მიიღება მათი დათვალიერების ჩვევების უწყვეტი დაკვირვების შედეგად, რაც საშუალებას გვაძლევს შევადგინოთ სპეციფიკური პროფილი ამ ჩვევებზე მორგებული რეკლამის ჩვენებისთვის. ეს ქუჩი-ფაილები იძლევა ნებისმიერი სარეკლამო სივრცის მაქსიმალურად ეფექტურად მართვის საშუალებას, რომელიც რედაქტორმა ჩართო უშუალოდ ან მესამე პირებთან თანამშრომლობით.

3. რა ქუჩი-ფაილები გამოიყენება ჩვენს პლატფორმაზე?

ქუჩი-ფაილები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი პლატფორმის მუშაობაში. ჩვენი ქუჩი-ფაილების მთავარი მიზანია თქვენი დათვალიერების გამოცდილების მაქსიმალურად გამარტივება და ეფექტურობის გაზრდა. მაგალითად, ისინი გამოიყენება თქვენი პრეფერენციების დასამახსოვრებლად (ენა, ქვეყანა და ა.შ.) დათვალიერებისა და შემდგომი ვიზიტებისას. ჩვენ ასევე ვიყენებთ ჩვენს ქუჩი-ფაილებს ჩვენი სერვისების და პლატფორმის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით და კლასიფიცირებული რეკლამის შესათავაზებლად თქვენი დათვალიერების ჩვევების შესაბამისად.

ქუჩი-ფაილების შესახებ შეგროვილი ინფორმაცია ასევე გვაძლევს ჩვენი პლატფორმის გაუმჯობესების შესაძლებლობას სტატისტიკური მონაცემების და გამოყენების შაბლონების (ვიზიტების რაოდენობა, ყველაზე ხშირად მონახულებული სექციები, ვიზიტის დრო და ა.შ.) შეფასების მეშვეობით, სტატისტიკური გაგების მისაღებად, თუ როგორ ურთიერთქმედებენ მომხმარებლები პლატფორმასთან ჩვენი სერვისების გასაუმჯობესებლად და პლატფორმის ადაპტაციისთვის თქვენი ინდივიდუალური მიზნების შესაბამისად, ძიების დასაჩქარებლად და ა.შ.

ჩვენ ხანდახან შეგვიძლია გამოვიყენოთ ქუჩი-ფაილები ინფორმაციის მისაღებად, რომელიც რეკლამის ჩვენების შესაძლებლობას გვაძლევს ჩვენი პლატფორმიდან, მესამე მხარის პლატფორმებიდან ან სხვა საშუალებების მეშვეობით, თქვენი დათვალიერებების ჩვევების (მონახულებული პროდუქტები, სექციები და ა.შ.) საფუძველზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, ქუჩი-ფაილები, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ, არასდროს ინახავენ მგრძნობიარე ინფორმაციას, როგორიცაა პაროლები, საკრედიტო ან სადებეტო ბარათის დეტალები და ა.შ.

4. როგორ შემიძლია ქუჩი-ფაილების გამოყენების მართვა ამ პლატფორმაზე?

ქუჩი-ფაილების პარამეტრების პანელზე, რომელიც ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ჩვენს პლატფორმაზე, შეგიძლიათ იხილოთ სრული ინფორმაცია ქუჩი-ფაილების შესახებ, რომლებიც გამოიყენება ამ პლატფორმაზე, ასევე ინფორმაცია თითოეული ქუჩი-ფაილის დანიშნულების, ხანგრძლივობისა და მართვის (ძირითადი ან მესამე მხარის) შესახებ, რათა შეძლოთ გაააქტიუროთ ან

გამორთოთ ქუქი-ფაილების გამოყენება, რომლებიც არ არის მკაცრად სავალდებულო პლატფორმის ფუნქციონირებისთვის.

ქუქი-ფაილების გათიშვის შემთხვევაში (როცა ეს შესაძლებელია) თქვენი ბრაუზერიდან წაიშლება ყველა შესაბამისი ქუქი-ფაილი და თუ ქუქი-ფაილზე უარს იტყვით, მაგრამ მისი წაშლა შეუძლებელი იქნება, ჩვენ ყოველთვის დავბლოკავთ მას. აქედან გამომდინარე, ჩვენ არასდროს გამოვიყენებთ ქუქი-ფაილებს, რომლებზეც უარს იტყვით და ყველაფერს გავაკეთებთ მათ წასაშლელად (გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ წაშლის ზოგიერთ მექანიზმს, რადგან ისინი დამოკიდებულია მესამე მხარეზე, რომელიც პასუხისმგებელია ქუქი-ფაილზე).

გარდა ამისა, თუ ინტერნეტში დათვალიერებთ, შეგიძლიათ გამორთოთ ქუქი-ფაილების გამოყენება თქვენს ბრაუზერში, ასევე მესამე მხარის ქუქი-ფაილებთან მიმართებაში, რომლებიც მიიღეთ და შემდგომში გასურთ უარყოს აქ მოცემულია, თუ როგორ უნდა გავაკეთოთ ეს ყველაზე პოპულარულ ბრაუზერებში:

- [Google Chrome](#)
- [Internet Explorer](#)
- [Mozilla Firefox](#)
- [Safari](#)

თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ აღკვეთოთ ქუქი-ფაილების გამოყენება.

გახსოვდეთ, რომ ორივე - ქუქი-ფაილების პარამეტრების პანელის მართვა და ქუქი-ფაილების უარყოფის ფუნქცია სპეციფიურია თქვენს მიერ გამოყენებული თითოეული ბრაუზერისთვის. ამიტომ, თუ თქვენ ახორციელებთ ქუქი-ფაილების კონფიგურაციას ერთ მოწყობილობაზე და გასურთ, რომ ეს ოპცია თანაბრად გავრცელდეს სხვა მოწყობილობაზე, იგივე პარამეტრი უნდა ჩართოთ სხვა მოწყობილობაზე.

დამატებით, მესამე მხარის ქუქი-ფაილებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოიყენება რეკლამის უზრუნველსაყოფად თქვენი ინტერესების მიხედვით, გაითვალისწინეთ, რომ კონკრეტული მესამე მხარეები შესაძლოა იყვნენ წევრები ზოგიერთი შემდეგი თვითმარეგულირებადი პროგრამების ონლაინ ქცევითი რეკლამისთვის, შესაბამისი ნებაყოფლობითი გამორიცხვის ვარიანტებით:

- ქსელური რეკლამის ინიციატივა (NAI) - <http://www.networkadvertising.org/choices/>
- Google Analytics - <https://tools.google.com/dlpage/gaoptout>
- მეტა - <https://www.youronlinechoices.com/>

5. ვინ იყენებს ქუქი-ფაილებზე შენახულ ინფორმაციას?

ინფორმაცია, რომელიც ინახება ქუქი-ფაილებში ჩვენს პლატფორმაზე გამოიყენება მხოლოდ ჩვენს მიერ, გარდა იმის, რომელიც განსაზღვრულია მე-2 ნაწილში, როგორც “მესამე მხარის ქუქი-ფაილები”, რომლებიც გამოიყენება და იმართება გარე სუბიექტების ჩვენი პლატფორმის დათვალიერებისას ჩვენი სერვისების და მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით. დეტალური ინფორმაცია ქუქი-ფაილების პარამეტრების პანელის შესახებ ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ჩვენს პლატფორმაზე.

უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად, თუ როგორ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს მესამე პირებთან თანამშრომლობით და მონაცემების შესახებ, რომლებიც ექვემდებარება მონაცემების საერთაშორისო გადაცემას, გთხოვთ, წაიკითხოთ ჩვენი კონფიდენციალურობის დებულება, რომელიც ხელმისაწვდომია ჩვენს პლატფორმაზე, და ამ მესამე მხარის თანამშრომლების კონფიდენციალურობის დებულებები/ კონფიდენციალურობის პარამეტრები, რომლებიც ხელმისაწვდომია მათ პლატფორმებზე.

აქ მოცემულია ყველაზე რელევანტური მესამე მხარეები, რომლებსაც საშუალებას ვაძლევთ განათავსონ ქუქი-ფაილები ჩვენს პლატფორმაზე. შეიტყვეთ მეტი იმის შესახებ, თუ როგორ ამუშავებენ ეს მესამე მხარეები თქვენს ინფორმაციას:

- [Google ბიზნეს უსაფრთხოების](#)
- [Microsoft](#)
- [Meta](#)
- [Pinterest](#)